საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №

ქ. თბილისი თებერვალი 2025 წ.

ვაკანტური არასამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით მონიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, სსიპ სსსტც „დელტა“-სთან (წერილი №MOD 9 25 00036126, 17.01.2025 (შემ. №20, 20.01.2025)) შეთანხმებული და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №2, 05.02.2025) დამტკიცებული „საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი“-ს, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული (სამეცნიერო საბჭოს ოქმი №3, 05.02.2025) და 2025 წლის 05 თებერვლის დირექტორის ბრძანებით №6 დამტკიცებული „თანამდებობების დასაკავებლად საჭირო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“-ს და „თანამდებობების სამუშაოთა აღწერის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ინსტიტუტის საშტატო განრიგით განსაზღვრული ვაკანტური არასამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი:

1. ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს **სპეციალისტის** ერთ საშტატო ერთეულზე;
2. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორიის **ლაბორანტის** ერთ საშტატო ერთეულზე;
3. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის:
   ა) **ტექნიკოსის** ერთ საშტატო ერთეულზე;
   ბ) **ლაბორანტის** ერთ საშტატო ერთეულზე;
4. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების **ლაბორანტის** ერთ საშტატო ერთეულზე;
5. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ასაფეთქებელი კომპლექსის საინჟინრო-ექსპერიმენტული უზრუნველყოფის ჯგუფის **უფროსი სპეციალისტის** ერთ საშტატო ერთეულზე;
6. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო **ცენტრის უფროსის** საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების **ჯგუფის უფროსის** ერთ საშტატო ერთეულზე;

7. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების ჯგუფის:
   ა) **კონსტრუქტორის** არასრულ საშტატო ერთეულზე;
   ბ) **ხარჯთაღმრიცხველის** არასრულ საშტატო ერთეულზე.

8. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის:
   ა) **ბურღვის ოსტატის დამხმარის** ერთ საშტატო ერთეულზე;
   ბ) **ლაბორანტის** ერთ საშტატო ერთეულზე;

9. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის:
   ა) **სანტექნიკოსის** ერთ საშტატო ერთეულზე;
   ბ) **დარაჯის** ერთ საშტატო ერთეულზე.

II. დამტკიცდეს ვაკანტური არასამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების დებულება (დანართი №1), კონკურსის ჩატარების პირობები (დანართი №2) და განცხადების ფორმა (დანართი №3).

III. კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 07 თებერვალს.

IV. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული ორგანიზაცი(ებ)ის და ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე.

V. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნიკოლოზ ჩიხრაძე - კომისიის თავმჯდომარე, დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. გიორგი ქართველიშვილი - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე - სამეცნიერო დარგში;
3. დავით ცანავა - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის კოორდინატორი;
4. ვერიჩკა მაჭარაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, საიდუმლო საქმისმწარმოებელი;
5. ნიკა ბოჭორიშვილი - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
6. ასმათ შეყილაძე - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
7. გიორგი ნოზაძე - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
8. რობერტ სამადაშვილი - ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების უფროსი, ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

9. სოფიკო კვინიკაძე - ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
10. მირიან ჩუბუნიძე - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
11. გენადი ასანიძე - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, მთავარი ინჟინერი.

VI. კონკურსანტთა ელექტრონული განაცხადების მიღების და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ასკილაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
2. ანა გელაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს საქმისმწარმოებელი;
3. ოლღა ჩუდაკოვა - სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი.

VII. ვაკანტური არასამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსანტთა განაცხადების რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 07 თებერვალს და დასრულდეს 2025 წლის 17 თებერვალს.

VIII. საკონკურსო კომისიამ, კონკურსის შედეგები, არასამეცნიერო ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, წარმოადგინოს არაუგვიანეს 2025 წლის 28 თებერვლისა.

IX. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე